განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გი ჰუგი, უმაღლეს განათლების დამოუკიდებელი ექსპერტი, საფრანგეთი/ესპანეთი

წევრები:

ირმა გრძელიძე, უმაღლესი განათლების ექსპერტი, საქართველო

თორნიკე გურული, შრომისბაზრის ექსპერტი, საქართველო

გიორგი ურდიანი, სტუდენტი ექსპერტი, აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სამხატვრო აკადემია, საქართველო

რუსუდან სანაძე, თბილისის სახ. უნივერსიტეტი, საქართველო

რევაზ შანიძე, თბილისის სახ. უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2018

ავტორიზაციის ანგარიშის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახალგაზრდა უნივერსიტეტია, რომელიც დაარსდა "ცოდნის ფონდის", საქველმოქმედო ორგანიზაციის ქოლგის ქვეშ, რომელიც ასევე მართავს თავისუფალი უნივერსიტეტის დობილ ინსტიტუციას - აგრარულ უნივერსიტეტს, რომელთანაც გააჩნია საზიარო კამპუსი თბილისის შემოგარენში.

თავისუფალი უნივერსიტეტი შედგება 8 "სკოლისაგან" (მათ შორის ახლახან შექმნილი "სადოქტორო სკოლისა") და 6 საერთაშორისო ორიენტაციის სამეცნიერო "ცენტრის" ანუ "ინსტიტუტისაგან". ამ სტრუქტურებიდან ზოგიერთი, მაგალითად ბიზნესის სკოლა, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი ან არაბული ქვეყნებისა და ისლამური მსოფლიოს ცენტრი, არსებობდნენ მანამდეც და გახდნენ უნივერსიტეტის ნაწილი მისი დაფუძნებისას 2007 წელს.

თავისუფალი უნივერსიტეტი სთავაზობს შემდეგ აკრედიტებულ სასწავლო პროგრამებს:

საბაკალავრო პროგრამებს:

- ბიზნესის ადმინისტრირება
- კომპიუტერული მეცნიერება და მათემატიკა
- ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია
- სამართალი
- მენეჯმენტი და სოციალური მეცნიერებები
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ფიზიკა
- არქიტექტურა
- ვიზუალური ხელოვნება და დიზაინი

სამაგისტრო პროგრამები:

- სოციალური მეცნიერებები
- ბიზნესის სამართალი
- ბიზნესის ადმინისტრირება
- ბიზნესის ადმინისტრირება - ოპერაციების მენეჯმენტში
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, აგრარულ უნივერსიტეტთან ერთობლივად

სადოქტორო პროგრამები:

- სადოქტორო პროგრამა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში
- სადოქტორო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, აგრარულ უნივერსიტეტთან ერთობლივად

2018 წლის თებერვალში უნივერსიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა იყო 2,100 ბაკალავრიატის დონეზე, 316 მაგისტრატურის დონეზე და 12 დოქტორანტურის დონეზე. თავისი განმასხვავებელი მახასიათებლებიდან თავისუფალი უნივერსიტეტი

აღნიშნავს მის ამბიციას რომ იყოს სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსიტეტი ხაზგასმით ლიბერალური განათლებით ქართულ ენაზე და სტუდენტთა ეფექტური მომზადებით შრომის ბაზრისათვის. უმთავრეს მიღწევებს შორის თავისუფალი უნივერსიტეტი ხაზს უსვამს ბაკალავრიატში ყოველწლიური მიღების მაღალ დონეს ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან და მის კურსდამთავრებულთა განსაკუთრებულ დასაქმების შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის შეფასების პროცედურის მოკლე მიმოხილვა:

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს სურს თავისი ავტორიზაციის განახლება, რომელიც პირველად მიენიჭა 2012-2013 სასწავლო წელს და რომლის ვადაც იწურება 2017-2018 სასწავლო წლის ბოლოს.

თვითშეფასების ანგარიში მიღებულ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2018 წლის 14 მარტს. შემფასებელთა ჯგუფი დაინიშნა 2018 წლის 5 აპრილს და შედგება 6 წევრისაგან, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტი უმაღლეს განათლებაში - ჯგუფის თავმჯდომარედ და 5 ქართველი წევრი (3 აკადემიური ექსპერტი, შრომის ბაზრის ექსპერტი და სტუდენტი ექსპერტი).

მართალია თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია წარმოადგენდა კარგ დასაწყისს, მაინც ინფორმაციის ბევრი მხარე მოითხოვდა შემდგომ დაზუსტებას და/ან გადამოწმებას მანამ, სანამ იგი სწორად გააზრებული და შეფასებული იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ამ კუთხით, ინტენსიური ვიზიტი ადგილზე, რომელიც შედგა 2018 წლის 1-3 მაისს აღმოჩნდა უაღრესად ეფექტიანი. იგი შედგებოდა შემფასებელთა ჯგუფის მიერ ჩატარებული 25 ინტერვიუს სესიისაგან თავისუფალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ/სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, აგრეთვე კამპუსის ვიზიტისაგან. ადგილზე ვიზიტის პრაქტიკული ორგანიზება იყო შესანიშნავი. ინტერვიუ სესიების განრიგი მკაცრად იყო დაცული, ყველა მოწვეულმა პირმა რეალურად მიიღო მონაწილეობა და თითოეულ სესიაზე ჯგუფის ყველა წევრი და ყველა რესპონდენტი ჩართული იყო დებატებში. გასაუბრებები ჩატარდა ღია და მეგობრულ ატმოსფეროში. ზოგადად პროცესი წარიმართა ინგლისურად, თანგმანით ქართულიდან და ქართულად საჭიროების შემთხვევაში.

ჯგუფის წევრები წუხდნენ, რომ განრიგის შესაბამისად არ ჰქონდათ საკმარისი დრო რათა მოესმინათ თავისუფალი უნივერსიტეტი-ს რექტორის მიერ მომზადებული ფოვერ ფოინთის (PPT) პრეზენტაციისათვის, თუმცა მოგვიანებით ექსპერტთა ჯგუფმა ფაილის ელექტრონული ვერსია მიიღო. ადგილზე ჯგუფმა, ასევე, მოითხოვა რამდენიმე დამატებითი დოკუმენტი (როგორიცაა შრომითი კონტრაქტები აკადემიურ პერსონალთან, დიპლომის დანართის ნიმუში, სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.), რომლებიც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს მოეწოდა დაუყოვნებლივ.

ჯგუფს სურს დაადასტუროს, რომ ნებისმიერი გამოთხოვილი ინფორმაცია იყო ხელმისაწვდომი და ამიტომ მისი შეფასება ეყრდნობა საკმარის რელევანტურ ინფორმაციას, რამაც მისცა უნივერსიტეტის სარწმუნო შეფასების გაკეთების შესაძლებლობა ავტორიზაციისათვის საჭირო 7 პირობიდან თითოეულში. ასევე, აღსანიშნავია, რომ ჯგუფის

განსხვავებული წევრების შეხედულება ყველა ძირითადი საკითხის შეფასებისას იყო უაღრესად მსგავსი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ამ ანგარიშში მოცემული დასკვნები ასახავს ჯგუფის ყველა წევრის ფართო კონსენსუსს.

შეფასებების რეზიუმე

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოითხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოითხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოითხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოითხოვნებთან
1.	**უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ს მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაკვირვება	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეცვლის, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. გი ჭუგი (თავმჯდომარე)
2. ირმა გრძელიძე (წევრი)
3. თორნიკე გურული (წევრი)
4. გიორგი ქურდიანი (წევრი)
5. რუსუდან სანაძე (წევრი)
6. რევაზ მანიძე (წევრი)

საუკეთესო პრაქტიკების შეჯამება

ჯგუფზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უნივერსიტეტის სამმა ძირითადმა მიღწევამ, კერძოდ:

- თავისუფალი უნივერსიტეტის ნათელმა ხედვამ საკუთარ თავზე, როგორც ყველა კუთხით სტუდენტზე ორიენტირებულ უნივერსიტეტზე: სტუდენტზე მორგებული სწავლის გეზით, უნარებისა და კომპეტენციების სწავლით უმაღლეს დონეზე, სტუდენტების უშუალო და ღია ურთიერთობით პერსონალთან (აკადემიურ და ადმინისტრაციულ), პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებით სტუდენტთა მოთხოვნებისადმი. სტუდენტთა მიმართ ასეთი ორიენტაცია გულისხმობს უნივერსიტეტისათვის უაღრესად ინოვაციურ, გარდამტეხ მიდგომას სწავლებისა და სწავლის, ასევე შიდა მენეჯმენტის მიმართ. ეს, ასევე, მხარდაჭერილ იყო ფრთხილი და კონტროლირებული განვითარების სტრატეგიით, რომელიც უფრო მეტად უსვამს ხაზს ხარისხის საჭიროებას და შესაბამისობას, ვიდრე საკუთარ თავში მატერიალური რესურსების ინვესტირების სწრაფ ზრდას.

- უნივერსიტეტის მთელი პერსონალის და რესურსების (მათ შორის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის) საუცხოო შესატყვისობა უნივერსიტეტის პროფილთან, როგორც ეს იყო განსაზღვრული დამფუძნებლის მიერ. ჯგუფმა ვერ გამოავლინა რაიმე სერიოზული გადახრა და ყველა პირი, ვისაც შევხვდით, ჩანს რომ ძალიან ერთგულად მისდევს თავისუფალი უნივერსიტეტის მისიითა და ხედვით განსაზღვრულ პრინციპებს, განსაკუთრებით სწავლება/სწავლის სფეროში. როგორც ჩანს ურთიერთკავშირი სტუდენტებსა და პედაგოგიურ, მაკოორდინირებელ, დამხმარე მომსახურების, კამპუსის მომსახურების და ადმინისტრაციულ პერსონალს შორისაც კი, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ სტუდენტები იყვნენ კმაყოფილები და ჩართულები, არის მეტად მოქნილი და ეფექტიანი.

- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ნდობის მაღალი დონე იმის ხარისხისა და შესაბამისობის მიმართ, რასაც თავისუფალი უნივერსიტეტი-ს კურსდამთავრებულები შეისწავლიან სწავლის პერიოდში. ეს მკაფიოდაა დაკავშირებული უნივერსიტეტის კამპუსისა და აღჭურვილობის ხარისხთან; სხვადასხვა კატეგორიის პერსონალის კვალიფიკაციასა და თავდადებასთან, მათ სტაბილურობასთან და კმაყოფილების მაღალ დონესთან, თანამშრომლობით ურთიერთდამოკიდებულებასთან და სტუდენტთა უნარების განვითარებაზე აქცენტთან; მენეჯმენტის თანაბარ და არაბიუროკრატულ სტილთან, გადაწყვეტილების მიღების მოკლე არხებით. ეს ასევე განპირობებულია უნივერსიტეტის აბიტურიენტთა და სტუდენტთა მაღალი მოლოდინებით. გარდა ამისა, განსაზღვრულია რომ თავისუფალმა უნივერსიტეტმა განაგრძოს განვითარება იგივე მიმართულებით, მაგალითად კურსდამთავრებულთა კარიერის შესაძლებლობების შემდგომი გაფართოებით და ბოლოდროინდელი პირველი სტარტ-აპ კომპანიის მასპინძლობით კამპუსში.

ჯგუფი ერთსულოვანია მოსაზრებაში, რომ ყველა ამ ასპექტში თავისუფალი უნივერსიტეტი იმკის არა მხოლოდ გასული წლების შრომის შედეგებს: მისი გამორჩეული მიღწევები იმსახურებს მილოცვას და შესაძლებელია გამოდგეს მოდელად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

რეკომენდაციებისა და რჩევების რეზიუმე

თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა გაიარა მეტად დადებითი განვითარების ციკლი მისი პირველი ავტორიზაციის შემდეგ და ჯგუფი აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ თავისუფალი უნივერსიტეტი სწორ გზაზე დგას ხარისხობრივი განვითარების ახალი ეტაპისათვის, როგორც ეს მის სტრატეგიულ გეგმაშია წარმოდგენილი.

ამ თვალთახედვით, ჯგუფს აქვს მხოლოდ ორი ფორმალური რეკომენდაცია და სამი რჩევა.

რეკომენდაციები

ჯგუფი რეკომენდაციას აძლევს თავისუფალ უნივერსიტეტს, რომ მოახდინოს მისი რიგი შიდა სტრუქტურებისა და პროცესების ფორმალიზება, კერძოდ დეცენტრალიზებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტეგრირების და ადამიანური რესურსების მართვის პროცესის თვალსაზრისით. ამ დრომდე, მარტივი სტრუქტურები და მოქნილი, არაფორმალური და თანამშრომლობითი პროცესები წარმოადგენდა მტკიცე აქტივს თავისუფალი უნივერსიტეტისათვის, როგორც შედარებით მცირე, მისი დამფუძნებლის სულისკვეთებით ინსპირირებულ ორგანიზაციას, რომელშიც ხალხი იცნობს ერთმანეთს და მუშაობს კოლეგიალურად; ვინაიდან უნივერსიტეტი იზრდება და ხდება უფრო კომპლექსური, მას ესაჭიროება მეტი ფორმალური შიდა სტრუქტურა, უფრო მკაფიოდ განსაზღვრული ფონქციებით და ფორმალიზებული პროცედურებით.

ჯგუფი, ასევე, რეკომენდაციას იძლევა რომ თავისუფალმა უნივერსიტეტმა კვლავაც გააგრძელოს ინვესტირება მისი კვლევითი შესაძლებლობებისა და აქტივობების შემდგომ ექსპანსიაში, კერძოდ, პერსონალის (როგორც მუდმივი და მოწვეული, ადგილობრივი და საერთაშორისო) განვითარების, დამხმარე აქტივობების (როგორიცაა ბიბლიოთეკა და საგამომცემლო ერთეულები) და კვლევის შეფასების პროცედურების (მათი ადაპტირებით კვლევისა და მკვლევართა თითოეული ტიპისათვის) მეშვეობით. რეკომენდაცია ეხება სადოქტორო სკოლის აწყობას ინოვაციური პრინციპების მიხედვით, რაც მისი დაარსებისთა (ინტერდისციპლინარობა, ინტერნაციონალურობა, გამოყენებადობა) დომინირებდა და ინვესტირების გაგრძელება ახალ კვლევით პროექტებში და კვლევაზე ორიენტირებულ ინსტიტუტებსა და ცენტრებში.

რჩევები

ეს რჩევები, ძირითადად, მინიშნებებია რათა თბილისის თავისუფალი უნიერსიტეტის რექტორმა და ხელმძღვანელობამ მოახდინოს მათი წინა წარმატების კაპიტალიზაცია და აქცენტი გადაიტანოს განვითარების შემდეგი ეტაპის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებზე. ეს რჩევები უნდა იქნეს განხილული როგორც გამაძლიერებელი თავისუფალი უნივერსიტეტის განვითარების გეგმით ისედაც გათვალისწინებული ზომებისა, როგორც ეს იქნა ნაჩვენები რექტორის PowerPoint პრეზენტაციაში შემფასებელთა ჯგუფთან შეხვედრისას ვიზიტის პირველ დღეს.

ჯგუფი ურჩევს, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში თავისუფალმა უნივერსიტეტმა უნდა:

- მოარგოს მისი მისიის განაცხადი, იმის დასადასტურებლად, რომ იგი ასახავს უნივერსიტეტის დაგეგმილ განვითარებას, კერძოდ, კვლევითი აქტივობების, დოქტურანტურის და ინტერნაციონალიზაციის კუთხით. თავისუფალმა

უნივერსიტეტმა ასევე სასურველია განჭვრიტოს სამომავლო გარემო ნორმები და მიუძღვნას თავი კამპუსისა და სიმძლავრეების სრულყოფას, რათა აქციოს ისინი სრულიად "მწვანედ" (ანუ ეკოლოგიურად).

- <u>მძლავრად ჩაეჭიდოს გეგმას დოქტურანტურის აქტივობების განვითარებაში შემდგომი ინვესტირების თაობაზე;</u> ძირითადი ახალი ნაბიჯები ამ მიმართულებით გადადგმული იქნა უკანასკნელ წლებში, მაგალითად, მნიშვნელოვანი ახალი ინვესტიციებით კვლევის განვითარებაში, ფიზიკისა და შემოქმედებითი დისციპლინების წარმატებული დამატებით (ვიზუალური ხელოვნება და დიზაინი, არქიტექტურა) და სადოქტორო სკოლის შექმნით. ვინაიდან რიგი მიმართულებებით სამაგისტრო პროგრამები შეფერხდა (მაგალითად ფიზიკის) რადგან სტუდენტთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ დაიწყო მუშაობა საბაკალავრო პროგრამის დამთავრებამდე, ჯგუფი ურჩევს თავისუფალ უნივერსიტეტს სხვა ქართული უნივერსიტეტებიდან შემოყვანის მობილობის გაზრდას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე და შემდგომ ინვესტირებას სტარტ-აპ კომპანიების განვითარებაზე კამპუსში, სავარაუდოდ "ბიზნეს პარკის" ჩარჩოებში.

- <u>განსაზღვროს ფართომასშტაბიანი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია</u> უნიკალური პროფილისა და ქართულ ენასა და კულტურაზე აქცენტის პარალელურად; ქართული საზოგადოებისათვის უკეთესი იქნება თუ თავისუფალი უნივერსიტეტის ყველა დონის კურსდამთავრებულები შეიძენენ საერთაშორისო კომპეტენციებს, რაც უცხოელ კოლეგებთან ეფექტიანი ურთიერთობის საშუალებას მისცემს მათ. ჯგუფი სთავაზობს თავისუფალ უნივერსიტეტს მოახდინოს მისი უკვე წარმატებული აზია/აფრიკის და არაბულ/მუსლიმური სწავლებების კაპიტალიზაცია და განავითაროს მეტი კავშირები ევროპასთან, ჩრდილო და ლათინურ ამერიკასთან. დროული იქნებოდა ასევე კავშირების დამყარება ევროპულ/ინტერნაციონალურ ბიბლიოთეკებთან, ვებ-გვერდის გადაკეთება უფრო მიმზიდველად უცხოელთათვის, მეტი უცხოელი მკვლევრების მოზიდვის ძალისხმევის გაზრდა და უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის დაწყება თავისუფალი უნივერსიტეტი-ს კამპუსზე (მაგ: რამოდენიმე სამაგისტრო პროგრამით ინგლისურ ენაზე და/ან საერთაშორისო ზაფხულის კურსებით ქართული, კავკასიური ან ევროპული სწავლებებით უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან კოოპერირებით).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ს მისიის შესახებ განაცხადი განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში. უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება დაწესებულების მიზნებს და აღწერს ამ მიზნების მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ს მისიის შესახებ განაცხადი შეესაბამება საქართველოსა და ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო მიზნებს, განსაზღვრავს მის როლს და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და საზოგადოებაში, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.
კომპონენტის მოთხოვნების სტანდარტთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი უნივერსიტეტს აქვს მკაფიო და კარგად მოფიქრებული მისიის განაცხადი. მიუხედავად იმისა, რომ იგი უფრო მეტად მიმართულია სწავლება/სწავლის ფუნქციებზე, ვიდრე უსდ-ს კვლევით როლზე, იგი მაინც ქმნის მკაფიო პროფილს და ფუნქციებს რომლითაც უნდა ემსახუროს ქართულ საზოგადოებას. თავისუფალი უნივერსიტეტის მისიის განაცხადი ხაზს უსვამს მის როლს, როგორც სტუდენტზე ორიენტირებულ ინსტიტუტს და დასაქმების მნიშვნელობას, რომლებიც ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ბოლონიის შეთავაზებებისა ევროპის ერთიანი უმაღლესი განათლების სივრცისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში, რიგი ინტერვიუები ვიზიტისას, კერძოდ თავისუფალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალთან, რექტორის PowerPoint პრეზენტაციის ფაილი.
რეკომენდაციები:
რჩევები: მომდევნო 5 წლის განმავლობაში ჩაასწოროს მისიის განაცხადი, იმის დასადასტურებლად, რომ იგი ასახავს უნივერსიტეტის დაგეგმილ განვითარებას, კერძოდ, კვლევითი აქტივობების, დოქტურანტურისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მხოლოდ მსოფლიოს რამდენიმე უნივერსიტეტს შეუძლია თავისუფალ უნივერსიტეტზე ნათლად დემონსტრირება იმისა, რომ ისინი ნამდვილად სტუდენტზე ორიენტირებული ინსტიტუციები არიან. ამითაა გამსჭვალული თავისუფალი უნივერსიტეტის აქტივობების თითოეული და ყველა ასპექტი და ეს იქცა პერსონალისა და სტუდენტების საერთო გენის ნაწილად. უნივერსიტეტი, ასევე, შესანიშნავი მაგალითია მისი ფუნქციონირების შესაბამისობისა მის განცხადებულ მისიასთან და შესაძლოა გახდეს შთაგონების წყარო სხვა უსდ-ებისათვის როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო გეგმები (3-წლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, დაწესებულებაში გენერირებულ ცოდნას უზიარებს საზოგადოებას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.
- უსდ აფასებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას და სათანადო რეაგირებას ახდენს შეფასების შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი

თავისუფალი უნივერსიტეტი-ს აქვს კარგად ჩამოყალიბებული პოლიტიკა და თანამონაწილეობრივი პრაქტიკა საშუალო ვადიანი სტრატეგიული გეგმებისა და მოკლე-ვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა, შესაბამისი დაფინანსებით. ორივე გეგმის დანერგვა და დაფინანსება მოწმდება რეგულარულად და საჭირო ცვლილებები ხორციელდება მუდმივად.

მიუხედავად არსებობის მოკლე პერიოდისა თავისუფალი უნივერსიტეტი-მ მიაღწია იმას, რომ გახდა პირველი არჩევანი საქართველოს სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისა, განსაკუთრებით ბაკალავრიატის დონეზე. მისი მკაფიო არჩევანი ქართულ ენაზე სწავლება/სწავლასა და დასაქმებისათვის საჭირო უნარებზე ასევე მეტყველებს იმაზე, რომ მისი კურსდამთავრებულები მაღალი ხვედრითი წილით საქმდებიან ქვეყანაში და რომ თავისუფალი უნივერსიტეტი-ს შეაქვს განსაკუთრებული წვლილი საქართველოში, როგორც ქვეყანაში. უწყვეტი სწავლის შესაძლებლობები ძირითადად არის თავისუფალი უნივერსიტეტი-ს კურსდამთავრებულებისათვის და საქართველოს სხვა უსდ-ებიდან გადმოსული სტუდენტებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვით შეფასების ანგარიში, სტრატეგიული გეგმა და SWOT ანალიზი, განხორციელების გეგმა, ინტერვიუები დაგეგმვაში მონაწილე აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

მომავალი სავარაუდო პრიორიტეტი შესაძლოა იყოს მეტად წახალისდეს სტუდენტთა მობილობით მიღება საქართველოს სხვა უნივერსიტეტებიდან და აგრეთვე, უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტებიდან თავისუფალი უნივერსიტეტი-ს დოქტურანტურის, კვლევების და უწყვეტი სწავლის გასაძლიერებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სტრატეგიული დაგეგმვის ძალიან კარგი და გაზიარებული ხედვა მოიცავს სწავლებას, სწავლას, სტუდენტთა დაგეგმვას, მეცნიერებას და საზოგადიებისათვის სამსახურს. ზრდის ტემპის ეფექტური კონტროლი ხაზს უსვამს ხარისხს უფრო მეტად, ვიდრე ინვესტიციებზე უკუგებას.

შეფასება

☒ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ეფუძნება განათლების სექტორის საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვის პროცესში მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში, და ხელს უწყობს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვას

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
o უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავუს სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და ღონისძიებების განხორციელებას o უსდ-ს მმართველ ორგანოთა არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი o უსდ-ს ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიან მართვას. o უსდ-ს მისიისა და მიზნების გათვალისწინებით, უსდ-ს ხელმძღვანელობა ხელს უწყობს დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (თავისუფალი უნივერსიტეტი) ეკუთვნის ცოდნის ფონდს, ისევე როგორც მისი დობილი უნივერსიტეტი (აგრარული უნივერსიტეტი) და შპს აგრომეტი, რომლიდანაც ორივე უნივერსიტეტს აქვთ არენდირებული მათი საერთო კამპუსი. ინტერვიუებამდე ჯგუფი ეჭვობდა, რომ ორმაგი მენეჯმენტი თავისუფალი უნივერსიტეტი-სა და აგრარული უნივერსიტეტის მიერ შესაძლოა ყოფილიყო შეშფოთების წყარო, თუმცა მალე გახდა ნათელი რომ ეს პირიქით აღმოჩნდა ეფექტიანობის წყარო. ინტერვიუებმა ასევე მისცა საშუალება ჯგუფს, რომ ცოდნის ფონდისა და თავისუფალი უნივერსიტეტი-ს დამფუძნებლის სული და ვალდებულება გაზიარებულია ცოდნის ფონდის ამჟამინდელი ხელმძღვანელის მიერ. თთუ-ს მმართველ ორგანოთა შერჩევის და დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი. უნივერსიტეტის მენეჯმენტის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ისევე როგორც ოფიციალური წარმომადგენელი არის რექტორი. რექტორი ზედამხედველობს ორ პრორექტორს, კანცლერს და რიგ მნიშვნელოვან სტრუქტურულ ერთეულებს/სამსახურებს, რაც მოიცავს კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორს, საგამოცდო ცენტრისა და კვლევითი ცენტრების/ინსტიტუტების დირექტორებს (კონფუცის ინსტიტუტი. არაბული ქვეყნებისა და ისლამური მსოფლიოს შემსწავლელი ცენტრი, ადამიანის უფლებების ეროვნული ცენტრი, ბიზნესის სამართლის ეროვნული ცენტრი, კოგნიტიური ნეირომეცნიერებათა ინსტიტუტი და აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი). უნივერსიტეტს ჰყავს ორი პრორექტორი: ერთი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამებზე და მათ შემუშავებაზე, ხოლო მეორე - საგანმანათლებლო პროცესების ადმინისტრირებაზე. პრორექტორები ხელმძღვანელობენ შემდეგ ოპერაციულ ერთეულებს: სარეგისტრაციო და სასწავლო მართვის სამსახური, 6 სკოლა, რომლებშიც მიმდინარეობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და სადოქტორო სკოლა. კანცლერს ექვემდებარება შემდეგი ერთეულები: იურიდიული სამსახური, გამომცემლობისა და ღონისძიებების მენეჯერი, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების

სამსახური, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, სპორტული ცენტრი, ხელოვნების ცენტრი, შესყიდვების მენეჯერი, დასუფთავების სამსახური, შიდა ინფრასტრუქტურის სამსახური, გარე ინფრასტრუქტურის სამსახური, ადმინისტრაცია და არქივი.
ჯგუფი კმაყოფილი დარჩა რომ თავისუფალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სრულად აქვს გაცნობიერებული ინტერნაციონალიზაციის სარგებელობა და ერთგულია ინტერნაციონალიზაციის განვითარებისადმი, რაც დემონსტრირებულ იქნა მაგალითად, საერთაშორისო ერთეულების, მრავალენოვანი პროგრამებისა და აქტივობების მეშვეობით და შესაბამისი ინვესტიციებით.

ჯგუფმა ასევე შეამოწმა რომ თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურა ამჟამად იძლევა მისი, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსიტეტის, აქტივობების ეფექტურ და ეფექტიან მენეჯმეტის შესაძლებლობას. წარმატების ნაწილი გამოწვეულია თავისუფალი უნივერსიტეტის შეგნებულად მარტივი, არაბიურიკრატული სტრუქტურით, რამოდენიმე კომიტეტითა და კომისიით, მოკლე დისტანციით სტუდენტსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის და მათი ორიენტირებულობით პრობლემის მოგვარებაზე. ასევე, შინაგანი თანამშრომლობის მტკიცე სულით და მთელი პერსონალის გამორჩეული ვალდებულების გრძნობით თავისუფალი უნივერსიტეტის მისიისადმი და პრიორიტეტებისადმი.
ჯგუფს სწამს, რომ წარმატების ძირითადი სტრუქტურული ფაქტორებს შეუძლიათ გააგრძელონ თავისუფალი უნივერსიტეტის მომავლის ფორმირება, მაგრამ მისი რიგი შიდა სტრუქტურები და პროცედურები საჭიროებს მეტ ფორმალიზებას. ზოგიერთი ზომები, რომლებიც შემორჩა რიგი სტრუქტურების შერწყმით თავისუფალ უნივერსიტეტში შესაძლოა გადახედილ იქნეს, და ამოცანების გაზიარება ერთეულებს შორის საჭიროა გახდეს უფრო ორგანიზებული დროთა განმავლობაში, თთუ იზრდება და ხდება უფრო კომპლექსური და რიგი ძირითადი ისტორიული პიროვნებები საჭიროებენ ჩანაცვლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
ინტერვიუები ადგილზე ვიზიტისას (რექტორი, პრორექტორები, კანცლერი, დეკანები, ინსტიტუტების ხელმძღვანელები, სტუდენტები), დოკუმენტი ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, ცონტრაქტი აგრომეტსა და თავისუფალ უნივერსიტეტს შორის, სტრატეგიული გეგმა.

რეკომენდაციები: წარსულში მარტივი სტრუქტურები და არაფორმალური და თანამშრომლობითი პროცესები მტკიცე აქტივი იყო თავისუფალი უნივერსიტეტისათვის, როგორც ახალგაზრდა და შედარებით მცირე ორგანიზაციისათვის. მას შემდეგ რაც უნივერსიტეტი გაიზარდა, გახდა უფრო დიდი და კომპლექსური, იგი საჭიროებს მეტ ფორმალიზებულ შიდა სტრუქტურას, უფრო მკაფიოდ განსაზღვრული როლით და ფორმალიზებული პროცედურებით. ამისათვის, ჯგუფი რეკომენდაციას უწევს, რომ თავისუფალმა უნივერსიტეტმა გადახედოს მის რიგ შიდა სტრუქტურებს და ფორმალიზება მოახდინოს ზოგიერთი პროცედურის (მაგალითად, მოახდინოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მეტად ინტეგრირება, მისი რიგი ადამიანური რესურსების მართვის პროცესები და საინვესტიციო რესურსების გამოყოფა), მათი ეფექტიანობის სამომავლოდ გარანტირების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილი ახალი ვითარების გამო.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

- დაწესებულება ეფექტიანად ახორციელებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. დაწესებულების ხელმძღვანელობა უწყვეტად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გასაძლიერებლად და ხელს უწყობს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის დანერგვას.
- დაწესებულებას აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი

თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის ერთ-ადამიანიანი ერთეული, რომელიც აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის რიგ აქტივობებს პრინციპის "დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე" (PDCA). მისი ძირითადი ამოცანაა ხარისხობრივი და რაოდენობრივი გამოკითხვების რეგულარული ჩატარება, რაც მიზნად ისახავს სწავლება/სწავლის ხარისხის და სხვადასხვა პირების და ერთეულების, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ამ პროცესში - კერძოდ მასწავლებლების, შეფასებას. შიდა შეფასება ხორციელდება სისტემატურად აკადემიური პროცესის მსვლელობაში SurveyMonkey პლატფორმის გამოყენებით. სტუდენტები უფლებამოსილნი და ხელშეწყობილნი არიან რომ თავისუფლად და ანონიმურად შეაფასონ მათი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აკადემიური პროგრამები, სკოლის ადმინისტრაცია და ყველა სხვა საკითხი დაკავშირებული მათ საგანმანათლებლო პროცესებთან. კითხვარები შედგენილია სპეციალური მოთხოვნების საფუძველზე; არ არსებობს წინმსწრები კითხვარის ფორმები. რაოდენობრივი კვლევა მოიცავს აკადემიური პროცესის როგორც ტექნიკურ, ისე კონტექსტუალურ მხარეს. გამოკითხვის შედეგები ანალიზდება და გამოიყენება დაგეგმვისა და სილაბუსის განახლების მიზნით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ყოველთვის ინფორმირებულია შედეგების თაობაზე და ამით ეძლევა შესაძლებლობა რომ შეაფასონ თავიანთი სწავლების მეთოდები, აკადემიური პროგრამის შინაარსი და თავად შეფასების პროცესი. რაოდენობრივი გამოკითხვების დამატებით, ხორციელდება ხარისხობრივი შესწავლა, შესაბამისი ინტერვიუები ფოკუს-ჯგუფებთან და ინდივიდუალური შეხვედრები საჭიროების შემთხვევაში (ad hoc).

მაშინ როცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მცირე და შეზღუდულია უშუალო აქტივობებში, თავისუფალი უნივერსიტეტის დეცენტრალიზებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სავსებით ყოვლისმომცველია. იგი განაწილებულია სხვადასხვა ადმინისტრაციულ და აკადემიურ ერთეულებსა და პირებზე, კერძოდ სკოლების დეკანებსა და კოორდინატორებზე, სტუდენტთა დეკანსა და სტუდენტთა სამსახურებზე, განათლების მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემასა და რიგ დამხმარე მომსახურებებზე, როგორებიცაა: ბიბლიოთეკა, IT მომსახურებები, საკარიერო ოფისი და სხვ.

თავისუფალ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კორპუსის დაგეგმვის მექანიზმი. ამის უმთავრესი ამოცანაა ყველა სტუდენტისათვის მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის გარანტირება, უნივერსიტეტის რესურსების, მათ შორის, სწავლებაში ჩართული პერსონალის, ფართის, აღჭურვილობის და სტუდენტთა კონსულტირების, ზედამხედველობის და წვრთნის შესაძლებლობის კუთხით. ამით, თავისუფალმა

უნივერსიტეტმა შეძლო დაეგეგმა თავისი ექსპანსია კონტროლირებადი და ფრთხილი გზით, თანაც სწავლის ხარისხი მუდამ განეთავსებინა ან სისტემის ბირთვში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული გეგმა, ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის პერიოდში, განსაკუთრებით პროორექტორებთან, დეკანებთან, კოორდინატორებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები: თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ფართოდ განაწილებული სისტემის თვალსაზრისით, ჯგუფი სთავაზობს, რომ უნივერსიტეტმა უახლოეს წლებში უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ხარისხის უზრუნველყოფის მონაცემთა მოგროვებისა და ინტეგრირების ფორმალიზების კუთხით ინსტიტუციურ დონეზე.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
o უსდ-ს შემუშავებული აქვს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც იცავს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. ასეთი რეგულაციები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. o დაწესებულებას განხორციელებული აქვს პლაგიატის დადგენისა და მისი პრევენციის მექანიზმები. o უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი თავისუფალი უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე www.freeuni.edu.ge და წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა საკომუნიკაციო გეგმის ცენტრალურ ნაწილს. მისი მნიშვნელობა ხაზგასმულია ახლადჩარიცხულ სტუდენტთა მიღების კვირას და ატარებს სტუდენტთა დეკანი და თავისუფალი უნივერსიტეტის პერსონალი. ინსტიტუტის მკაცრი ზომები თაღლითობისა და პლაგიტის წინააღმდეგ წარმოდგენილი და ახსნილია და ჯგუფს შეეძლო შეემოწმებინა რომ ისინი ცნობილია, გაგებული და გაზიარებულია. 2015 წლიდან, ეთიკის საბჭოს ფორმირებიდან დღემდე პლაგიატის 11 საქმე იქნა შესწავლილი ეთიკის კომიტეტის მიერ, რომელშიც შედიან ძირითადი დაინტერესებული მხარეების წევრები, მათ შორის პედაგოგები, ადმინისტრატორები და სტუდენტთა დეკანი. 10 საქმე დასრულდა ოფიციალური გაფრთხილების მიცემით, ხოლო ერთ შემთხვევაში სტუდენტის სტატუსი შეწყვეტილ იქნა. თავისუფალი უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის უმთავრეს ნაწილს. იგი ითვლის 200 სრულად აღჭურვილ ადგილს ყველა სკოლისა და პედაგოგების გამოცდებისათვის და დაგეგმილ იქნა

უსაფრთხოების უმაღლესი ზომების გათვალისწინებით თაღლითობისა და დახმარების გარე წყაროების გამოყენების წინააღმდეგ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თავისუფალი უნივერსიტეტის ეთიკის კოდი თვითშეფასების ანგარიში და ინტერვიუები სტუდენტებთან და პედაგოგებთან. საგამოცდო ცენტრის მონახულება ადგილზე ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, დამტკიცების, შემუშავებისა და გაუქმებისათვის. პროგრამის სწავლის შედეგები ცხადად არის განსაზღვრული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს თავისი მიზნებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, განხორციელებისა და შემუშავებისა პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი თავისუფალ უნივერსიეტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა, რომელიც კარგადაა აღწერილი დოკუმენტში "თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა". ინტერვიუების პროცესში დეკანებმა და აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია და შემუშავებულია უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის ჩარჩოების მიხედვით. იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დეკანი. პროგრამის დაგეგმვის პროცესი ინტერაქტიულია და ითვალისწინებს მთელ რიგ საკითხებს (უნივერსიტეტის მისიას, კვლევებზე დაფუძნებულ შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სტუდენტთა გამოკითხვას და სხვ.). ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ თავისუფალ უნივერსიტეტს გააჩნია მტკიცე მექანიზმი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარებისათვის. უმაღლესი მენეჯმენტის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას პროგრამის განხორციელების, განვითარების ან შეწყვეტის თაობაზე, თთუ ყურადღებას აქცევს შრომის ბაზრის საჭიროებებს, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას (დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი) და ა.შ. თთუ აწარმოებს რეგულარულ გამოკითხვებს, მოქმედებს პროგრამების **რეგულარულ** ანგარიშების სისტემა, ხოლო მოგროვებული მონაცემები ანალიზდება სკოლის

კოორდინატორის, დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პრორექტორებისა და სხვა ერთეულების მიერ. ამგვარად, თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი ხარისხი უზრუნველყოფილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის საუკეთესო გამოცდილების საფუძველზე: ხარისხობრივი და რაოდენობრივი გამოკითხვების განხორციელებით; გამოკითხვების შედეგების ანალიზით; შესაბამისი სრულყოფის ზომებით; ინსტიტუციური დახმარებით პროგრამის გაუმჯობესებაში და უფრო გაზომვადი და რეალისტური სწავლის შედეგების უკეთ განსაზღვრაში.

რიგი მაგალითებისა თუ როგორ ფასდება და ვითარდება პროგრამები მოგროვებულ იქნა სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუების განმავლობაში. ეს ნათლად აჩვენებს, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის დოკუმენტებში წარმოდგენილი მექანიზმები დანერგილია და გაზიარებულია ინსტიტუციის სხვადასხვა კატეგორიის დაინტერესებულ მხარეთა მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები; თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა; ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

თავისუფალი უნივერსიტეტის სწავლის მოდელი შეესაბამება ლიბერალური განათლების პრინციპებს. უნივერსიტეტი სთავაზობს ენის კურსებს 8 განსხვავებულ ენაში. პროგრამები მიმართულია სტუდენტთა უნარების განსავითარებლად, მაგრამ დისციპლინური ცოდნა ასევე მტკიცეა (დამსაქმებელთა მიხედვით).

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგი მკაფიოდაა განსაზღვრული და ისინი შეესაბამება უმაღლესი განვითარების დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას
- ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების დახმარებით, უსდ ითვალისწინებს სტუდენთა სხვადასხვა მოთხოვნებს, საჭიროებებს და აკადემიურ მოსწრებას, და უზრუნველყოფს განათლების პროცესში მათ შეუფერხებელ ჩართულობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი

თავისუფალი უნივერსიტეტის დოკუმენტი "სწავლის შედეგების შეფასების სისტემა" იძლევა მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტის სწავლების მოდელი მუდმივად ვითარდება არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ სფეროს ავტორიტეტის ჯონ ბიგსის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიური მიდგომის შესაბამისად. კერძოდ, ეს ნიშნავს, რომ ყველაზე შესატყვისი შეფასების მეთოდი შეირჩევა თითოეული სწავლის შედეგისათვის. სასწავლო კურსის კონკრეტული სწავლის შედეგები მიიღწევა ცოდნის ტესტირების ტექნიკით რომელიც რელავანტური და ადექვატურია და რაც სამაგიეროდ

მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია საგანმანათლებლო პროგრამაში ჩამოყალიბებული კომპეტენციების მისაღწევად. დაგეგმილი სწავლის შედეგების შეფასება უკვე განსაზღვრულია სილაბუსის მომზადების დროს და აკადემიური პერსონალი მუდმივად ამოწმებს მის რელევანტურობას, მიუკერძოებლობას და ყოვლისმომცველობას (იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველა ძირითადი კომპონენტი გათვალისწინებულია). სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები ასევე შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის No.3 ბრძანებასთან. სწავლის შედეგების შეფასებს დაფუძნებულია წერით და ზეპირსიტყვიერ გამოკითხვაზე, ტესტებზე, პრაქტიკულ მუშაობაზე, პროექტებზე, პორტფოლიოებზე, გამოფენებზე და სხვ. და რეალურად მიღწეული სწავლის შედეგების ანალიზი სამაგიეროდ ემსახურება სილაბუსებში მოყვანილი სწავლის შედეგების გადახედვას. მთელი რელევანტური ინფორმაცია მოცემულია თავისუფალი უნივერსიტეტის სწავლის პროცესის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემაში. შეფასების სისტემა მუდმივად მიმართულია სწავლის შედეგებისაკენ და აფასებს მათ განსხვავებული კრიტერიუმებით: რას მიაღწია სტუდენტმა კონკრეტული კურსის გავლით, რა იცის და რის გაკეთება შეუძლია; სწავლის შედეგები სპეციფიურია განსხვავებულ დარგებში. თითოეული კომპონენტის შეფასების წერილობითი სახელმძღვანელო და დეტალური კრიტერიუმები აკადემიურ პერსონალს აყენებს პოზიციაში, როდესაც ობიექტურად და სამართლიანად უნდა შეაფასოს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ეს შეხედულება გაზიარებულია პერსონალისა და სტუდენტების მიერ. თავისუფალ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ელექტრონული სისტემა, რომელიც აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას მათი სწავლის შედეგების თაობაზე და ამავდროულად აწვდის უნივერსიტეტს სტატისტიკურ მონაცემებს სტუდენტთა აკადემიური ,მოსწრების შესახებ. ეს მონაცემები მოწმდება, ანალიზდება და გამოიყენება ყველაზე შესაფერისი ცვლილებების იდენტიფიცირებისათვის. ამ მექანიზმების გამოსადეგობა ასევე დამოკიდებულია საგამოცდო ცენტრის ხარისხზე, როგორც სტუდენტის ცოდნის შეფასების ობიექტურ და სანდო ინსტრუმენტზე. თავისუფალი უნივერსიტეტის შემდეგი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ სტუდენტებს აქვთ თავისუფლების მნიშვნელოვანი ხარისხი საკუთარი სასწავლო გეგმის დიზაინში და მის მოდიფიცირებაში. ეს საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს მოქნილად გამოეხმაუროს განსხვავებული პროფილისა და მიზნების მქონე სტუდენტის საჭიროებებს. ინტერვიუებმა აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ეს სტუდენტებისათვის, უფრო მეტიც აკადემიური პერსონალის ხედვით სტუდენტები არიან ძალიან "მომთხოვნი" და შედეგზე ორიენტირებულნი. ეს ასევე, საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს, რომ ზოგი ნიჭიერი და წარმატებული სტუდენტი გამოიყენოს მასწავლებლის ასისტენტად პირველკურსელთათვის. თთუ იყენებს სანდო ინსტრუმენტებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ქულების მისანიჭებლად სხვადასხვა სასწავლო ერთეულისათვის მოცემულ სასწავლო პროგრამაში და სარგებლობს ტუნინგის მეთოდოლოგიით სტუდენტთა დატვირთვის გასაზომად თითოეული კურსისათვის. თავისუფალ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტებს შორის ECTS კრედიტების განაწილების ფორმულა მთლიანი დროის შესაბამისად, რომელიც სტუდენტებმა უნდა მიუძღვნან თითოეულ მათგანს. კურსების განხორციელების შემდეგ, თთუ გამოკითხავს სტუდენტებს იმის დასადგენად თუ რამდენად სწორადაა ECTS კრედიტები მინიჭებული და საჭიროებს თუ არა შეცვლას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დატვირთვა გადაანგარიშდება, რათა შეესაბამოს ECTS მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

თავისუფალი უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან; თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): EECTS გამოთვლა, ტიუნინგის შედეგები, მოქნილობა, ცოდნის უმაღლესი დონის უნარებისაკენ ორიენტირებულობა, პროგრამების თაობაზე ინფორმაცია აღსანიშნავად კარგადაა გავრცელებული პოტენციურ აბიტურიენტებზე საუკეთესო მათგანთა მოზიდვის მიზნით, შესავალი პროგრამა, სტუდენტებს შეუძლიათ შეიცვალონ გეზი, პრაქტიკა, რაც ასაბუთებს, რომ არის განსაკუთრებით ეფექტური და რომელიც შესაძლოა გახდეს ხარისხის ნიშანი ან მოდელი სხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვის.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან o ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ს აქვს სწავლის შედეგების შეფასების კანონთან შესაბამისი, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი თავისუფალი უნივერსიტეტის "სწავლის შედეგების შეფასების სისტემა" სრულად შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას (2007 წლის 5 იანვრის #3 "უმაღლესი განათლების პროგრამების კრედიტების დაანგარიშების წესის დამტკიცების" თაობაზე). კერძოდ, შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, შედგება შუალედური და საბოლოო შეფასების ფორმებისაგან, კომპეტენციის მინიმალური ზღვარი შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის დადგენილია, საბოლოო გამოცდის მინიმალური ზღვარი არ რემატება 40% და ყველა მოთხოვნა მკაფიოდაა მინიშნებული სილაბუსებში. თავისუფალი უნივერსიტეტის განსხვავებული შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:დისკუსიებში მონაწილეობის შეფასება; სემინარებზე მუშაობის შეფასება; დასწრება/აქტიურობის შეფასება; შუალედური გამოცდის შეფასება; საშინაო დავალებები; ქვიზები; ქეისების შესწავლა; ლაბორატორიული სამუშაო; პრაქტიკული სამუშაო; ბრიც-გამოკითხვები; სამუშაოს შეფასება ხატვაში, სახვით ხელოვნებაში, არქიტექტორულ სტუდიებში; გამოფენების შეფასება; პორტფოლიო; პროექტების შეფასება; ესსე; წერითი სამუშაო; ზეპირი გამოცდები; პრეზენტაციები; ღია და დახურული ტესტები;საკონტროლო ტესტები; დებატები; საბაკალავრო ნაშრომი; პირველ და მეოთხე კურსელთა პროექტები; საბოლოო გამოცდები. კრიტერიუმების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად არსებობს სახელმძღვანელოები შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტისათვის და წარმოდგენილის ქულების მინიჭების შკალა სახელმძღვანელოს შესაბამისად. მთელი ინფორმაცია და შეფასება/ქულები ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მენეჯმენტის საინფორმაციო

სისტემაში. სასწავლო პროცესის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა ითვალისწინებს თითოეული დარგის განსაკუთრებულ მოთხოვნებს. შუალედური, საბოლოო თუ ცოდნის შეფასების სხვა ფორმები თავისუფალ უნივერსიტეტში შესაძლოა იყოს დახურული ანდ ღია წიგნის ტიპის. ღია წიგნის გამოცდები შედგება კითხვებისაგან, რომელთა მიზანია სტუდენტების ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების შეფასება უფრო, ვიდრე ნასწავლის გაგებისა და დამახსოვრების; ეს ეხმაურება უნივერსიტეტის მისიას. სტუდენტებთან ინტერვიუებში ჯგუფმა შეძლო დაედგინა, რომ შეფასების სისტემის თაობაზე ინფორმაცია მართლაც წარმოდგენილია სილაბუსებში; ისევე, როგორც გამოცდების ჩატარების რეგულირებები - საბაკალავრო პროგრამის დებულებაში და ვებ=გვერდზე. ეს ინფორმაცია, ასევე, მიეწოდება პირველკურსელებს, როგორც მათი 3-კვირიანი საორიენტაციო პროგრამის ნაწილი, რომელიც წინ უძღვის პირველ სემესტრს. თთუ, ასევე, მონიტორინგს უწევს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას სხვადასხვა გზით. სასწავლო პროცესის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა ასევე მოიცავს ქულების სტატისტიკის დისტრიბუციის ანალიზს, რომელიც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს რომ განსაზღვროს თუ რამდენად ადექვატური იყო ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდი. შედეგების ასიმეტრიულობის შემთხვევაში, ლექტორს მიეწოდება ინფორმაცია და შესაძლოა მისი ქულების მინიჭების სისტემა გახდეს გადასახედი. ამას, ასევე, სარგებელი მოაქვს სტუდენტის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის და მოსალოდნელი სწავლის შედეგებისათვის. ყველა წერითი გამოცდა მიმდინარეობს საგამოცდო ცენტრში, რომელიც იტევს 200 სტუდენტს. საგამოცდო ცენტრში "გადაწერის" ან ინტერნეტის მეშვეობით დამატებითი წყაროების გამოყენების რისკი ნეიტრალიზებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თავისუფალი უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შესაფების სისტემა; ინტერვიუები; თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები; სტუდენტთა გამოკითხვები; თავისუფალი უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან o ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს იმას, რომ მასში დასაქმებული (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე) პერსონალი მაღალკვალიფიციურია, ისე, რომ უნარი შესწევს ეფექტიანად მართოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესები და მიაღწიოს დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. თავის მხრის, დაწესებულება მუდმივად უზრუნველყოფს საკუთარ პერსონალს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით და გაუმჯობესებული სამუშაო პირობებით.

4.1. პერსონალის მართვა
o უსდ-ს აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს თავისი სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესისა და სხვა აქტივობების განხორციელებას. o უსდ უზრუნველყოფს კვალიფიციური აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ნათლად აღწერს პერსონალთან დამოკიდებულებაში ყველა ძირითად პროცედურებს: • პერსონალის შერჩევის პროცედურა, საჭირო კვალიფიკაციები, პერსონალის მენეჯმენტის პოლიტიკა, აფილირების რეგულირებები, ყველაფერი ეს ნათლადაა დაკავშირებული უნივერსიტეტის ყოვლისმომცველ სტრატეგიასთან. • თავისუფალი უნივერსიტეტის ყველა კონტრაქტი პერსონალთან ეყრდნობა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას. ეს, ასევე, მოიცავს საქმიანობის დეტალურ აღწერას თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიასთან, სამარკო ნიშანთან და KPI-თან კორელაციაში. • პერსონალის განვითარების მექანიზმები და პერსონალის განვითარების მენეჯერის როლი გაწერილია დეტალურად და განიხილება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაწილად. თავისუფალი უნივერსიტეტის პერსონალის მენეჯმენტი ასახავს პერსონალის განვითარების მნიშვნელობას. იგი, ასევე, ეხმარება მასწავლებლებს/მკვლევრებს ექსტრაკურუკულარ აქტივობებში, იძლევა სტიმულებს კვლევებისა და კურიკულუმის განვითარების აქტივობებისათვის, მათ შორის დამატებითი ხელფასის ფორმირების და დამატებითი ფინანსირებისას თუ საჭიროა (მაგალითად, მოგზაურობისათვის, პუბლიკაციებისათვის და სხვ.). სამსახურში მიღების პროცედურები ნათლადაა აღწერილი და ხორციელდება პრაქტიკულად არსებული პერსონალთან, ახლად მიღებულ და პოტენციურ კანდიდატებთან მიმართებაში. უნივერსიტეტი, ასევე, ატარებს სპეციალურ ინდუქციურ პროგრამას ახალ პერსონალთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მოკლე ინფორმირებას უმაღლესის პროფილის, მისიისა და შიდა რეგულირებების თაობაზე, როგორიცაა მაგალითად ეთიკა. პერსონალის შეფასება მიმდინარეობს რეგულარულად, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისათვის, როგორც ნაწილი თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის წლიური ციკლისა. ძირითად ინსტრუმენტს ამ მიზნებისათვის წარმოადგენს გამოკითხვები სტუდენტებს და ექსპერტებს შორის და პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულება მენეჯერებთან ინტერვიუების დროს. ყველა ძირითადი პროცედურა გადამოწმებულ იქნა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, მენეჯერებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუების დროს. პერსონალის უმეტესობა ფლობს ინგლისურ ენას და/ან სხვა უცხო ენას და შეუძლია თვალყური მიადევნოს სწავლებისა თუ კვლევების მათ სფეროში სიახლეებს მეცნიერების, სწავლებისა და კვლევების საერთაშორისო ქსელების მეშვეობით. საერთო ჯამში, პერსონალისათვის საჭირო კვალიფიკაციები და მათი დონე სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის, სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსიტეტის პროფილს, ჩართულს ეფექტურ სწავლებასა და კვლევებში. პერსონალის ეს პროცედურები ხაზს უსვამს ხარისხს და საშუალებას აძლევს თავისუფალ უნივერსიტეტსს დაიქირაოს უაღრესად მოტივირებული და მონდომებული პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, კვალიფიკაციის მოთხოვნის დოკუმენტი, პერსონალის შერჩევის პროცედურა, პერსონალის მენეჯმენტის პროცედურა, აფილირების რეგულაციები,პერსონალის პორტფოლიო, პერსონალის კონტრაქტების ნიმუში, ინტერვიუები. შერჩევის კრიტერიუმები ადმინისტრაციული პერსონალისათვის, ტესტ-ლექცია და ექსპერტების მიერ აკადემიური პერსონალის შეფასება.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): კონტრაქტის მენეჯმენტი, მთელი პერსონალის (ადმინისტრაციული და აკადემიურ/კვლევითი) შესაბამისობა თავისუფალი უნივერსიტეტისს მისიასთან და სტრატეგიასთან; როლის მოდელი, თუ რას ნიშნავს სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსიტეტი მისი პერსონალისათვის.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა
აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, და ასევე მართვის დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი პერსონალის დაყოფა აფილირებულ, მუდმივ და მოწვეულ/ნახევარ განაკვეთზე მყოფ პერსონალად და მათი დატვირთვა, მათ შორის სწავლების, კვლევის, მეცნიერული განვითარების და სხვა ამოცანების მიხედვით, ადექვატურია და შეესაბამება თთუ-ს ამოცანებს. პერსონალმა იცის და ესმის თთუ-ს მისია და პერსონალის უდიდესი უმრავლესობა მისი ერთგულია. დატვირთვა, როგორც მუდმივი, ისე მოწვეული პერსონალისათვის აღწერილია დეტალურად მათ კონტრაქტებში, რომლებიც მორგებულია თითოეულ პერსონალზე. პერსონალს გააჩნია რეალური შესაძლებლობა მათ პოზიციებზე ზრდისათვის და თთუ ხელს უწყობს მათ რიგი გზებით. ეს არის მაგალითები მოწვეული პერსონალისა, რომლებიც გახდნენ სტაფის სრული წევრები. პოლიტიკა აძლევს საშუალებას თავისუფალი უნივერსიტეტის, რომ მიიღოს პერსონალისაგან ერთგულების და ლოიალობის მაღალი ხარისხი; არის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა სამსახურიდან დათხოვნის. პერსონალი ჩართულია კურიკულუმის შემუშავებაში, პერსონალის განვითარების აქტივობებში, ისევე როგორც სხვა პერსონალის - მასწავლებლების/მკვლევარების შერჩევაში. აკადემიურ პერსონალს აქვს თავისუფლების მაღალი დონე იმის თაობაზე, რომ შეარჩიოს საუკეთესო გზა სწავლის ამოცანების განსასაზღვრად და დააკმაყოფილოს სტუდენტთა და ბაზრის მოთხოვნები.

აფილირების პროცედურა კარგადაა აღწერილი და გაგებული პერსონალის მიერ; აფილირების პროცედურა წარმოადგენს აფილირებული პერსონალის კონტრაქტის ნაწილს. უნივერსიტეტი მონიტორინგს უტარებს პერსონალის შედეგებს ინდივიდუალური კონტრაქტების ბაზაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუები. მთელი პერსონალის მენეჯმენტის დოკუმენტები წარმოდგენილია.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მუდმივი პერსონალის განპირობება სწავლება/სწავლის, კურუკულუმის განვითარების, ტუტორობისა და კვლევისადმი; მეტად მრავალფეროვანი, კვალიფიციური მოწვეული ლექტორების გამოყენება, რომლებიც ასევე ჩართულები არიან პრაქტიკულ მუშაობაში.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მხარდაჭერის სერვისები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტრებული გარემოს განვითარებას, სთავაზობს სტუდენტებს შესაბამისს სერვისებს, მათ შორის კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; იგი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებულობას, განახორციელებს განსხვავებულ აქტივობებს და ახალისებს სტუდენტების ჩართულობას ამ აქტივობებში. უსდ იყენებს სტუდენტების გამოკითხვების შედეგებს სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, და განათლების აღიარება, სტუდენტის უფლებები
o თითოეული საგანმანათლებლო დონისთვის, უსდ-ს აქვს შემუშავებული რეგულაციები სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ, ასევე რეგულაციები მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტაციის გაცემისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვები.** უნივერსიტეტის ვებგვერდი (http://freeuni.edu.ge/ge/documents), თვითშეფასების ანგარიში და კონტრაქტების ნიმუშები აჩვენებს, რომ სტუდენტის სტატუსის მინიჭების შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების და განათლების აღიარების რეგულირებები გამჭვირვალეა, სამართლიანია და შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. ეს ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველასათვის (ქართულ ენაზე, თავისუფალი უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად). თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით თავისუფალ უნივერსიტეტში 2,428, აქტიური სტუდენტია და 417 სტუდენტია შეჩერებული სტატუსით. ადგილზე ვიზიტმა დაადასტურა რომ უნივერსიტეტი საქმის კურსშია ამ სტატუსის შეჩერების ძირითად მიზეზზე, ანუ თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებზე მაღალი მოთხოვნა შრომის ბაზარზე, მათ მიერ სწავლის დამთავრებამდეც კი. როდესაც სტუდენტები აჩერებენ თავიანთ სტატუსს სწავლის

დამთავრებამდე, მაღალი კვალიფიკაციის სტუდენტების მოზიდვის გამო, რომლებზეც მაღალი მოთხოვნაა დამსაქმებლების მხრიდან, უნივერსიტეტი შესაძლოა გახდეს თავისივე წარმატების მსხვერპლი. თთუ კონტაქტშია თავის სტუდენტებთან, რომელთაც შეიჩერეს სტატუსი და ხელს უწყობს მათ სწავლის დამთავრებაში. ზოგი სტუდენტი რეალურად ბრუნდება სტაჟირებებიდან (მათ შორის საზღვარგარეთიდან) რომ დაასრულონ ბოლო სემესტრი და მოიპოვინ ხარისხი. ინტერვიუების განმავლობაში, სტუდენტები ადასტურებენ რომ ზოგიერთ მათგანს მოუხდა სამუშაოს ან ინტერნატურის გადადება იმიტომ, რომ სურდათ სწავლის დასრულება. სხვა ძირითადი მიზეზი სტატუსის შეჩერებისა შესაძლოა იყოს სწავლის ღირებულება, თუმცა თთუ სთავაზობს რიგ სტუდენტებს საფასური გადახდის გადავადებას და/ან გრანტებს; ცოდნის ფონდი თამაშობს მნიშვნელოვან როლს სტუდენტთა ფინანსურ დახმარებაში. თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტთა კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე ნათელი გახდა სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ინტერვიუების პერიოდში. ყველა მათგანი აქებდა განათლების კონტროლირებულ ხარისხს და სწავლის შედეგების ზუსტ შეფასებას დისციპლინების უმაღლესი ცოდნის დონეზე. საგამოცდო ცენტრი წარმოადგენს უმთავრეს გარანტიას სტუდენტთა სამართლიანი, მიუკერძოებელი შეფასებისა, რომელიც სარგებელს აძლევს თავისუფალ უნივერსიტეტს, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული ინსტიტუციას. ეს, ასევე, დადასტურებულ იქნა ყველა ინტერვიუში. სტუდენტები სათანადოდ იღებენ ინფორმაციას შეფასების წესებისა და კალენდრის თაობაზე, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის შესახებ. ცენტრი კარგად აღჭურვილია (200 კომპიუტერით), დასაჯდომი ადგილები ირჩევა შემთხვევით, ტერიტორია მუდმივად მონიტორინგის ქვეშაა და გარე ციფრული რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა შეუძლებელია. ეთიკის კოდექსი ხშირად მიეწოდება სტუდენტებს და ინტერვიუების მიხედვით ყველა მათგანი კარგადაა ინფორმირებული მათი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე, გადაწერის და პლაგიარიზმის შედეგების თაობაზე. ეთიკის კოდექსი რაიმე დარღვევის შემთხვევაში, საკითხს იხილავს ეთიკის საბჭო. სტუდენტთა დეკანი არის მისი წევრი. პირველი დარღვევა, როგორც წესი, იწვევს გაფრთხილებას და განმეორების შემთხვევაში სტუდენტი შესაძლოა გაირიცხოს. თავისუფალი უნივერსიტეტის პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები იშვიათია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები შეხვედრები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, IT დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; სტუდენტთა დეკანთან/სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურთან, სკოლის კოორდინატორებთან. კამპუსის ვიზიტი: საგამოცდო ცენტრი, ბიბლიოთეკა, თეატრი; http://freeuni.edu.ge/ge/documents, https://emis.freeuni.edu.ge (შეფასებულია უნივერსიტეტის სტუდენტთა დახმარებით)
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): თავისუფალი უნივერსიტეტის განვითარების, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსიტეტის, ფუნდამენტური საფუძველია ის, რომ უნივერსიტეტი თითოეულ სტუდენტთან აფორმებს სასწავლო კონტრაქტს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრაქტიკა აღარაა უჩვეულო, თავისუფალ უნივერსიტეტში ეს რეალურად ყოვლისმომცველია და მორგებულია

თითოეული სტუდენტის პროფილსა და პრიორიტეტებზე, მიმართულების ან მაინორის შესაძლო ცვლილებით.

თავისუფალი უნივერსიტეტის ენის პოლიტიკა, როგორც მოთხოვნის ასევე კურიკულიმის ფარგლებში შეთავაზების თვალსაზრისით. სტუდენტთა შესაძლებლობა, რომ გადაივადონ სწავლის გადასახადი დამთავრების შემდეგაც კი. სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების ეფექტური მართვა. კურსდამთავრებულებთან კავშირის უწყვეტობა.

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები

- უსდ-ს გააჩნია სტუდენტთა კონსულტაციის მომსახურეგები საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად
- უსდ-ს გააჩნია კარიერის მხარდჭერის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი კონსულტაციით და მხარს უჭერს მათ დასაქმებასა და კარიერულ ზრდას.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართულობას უნივერსიტეტის დონეზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში და მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს
- უსდ-ს გააჩნია დაბალი სოციალური ფენის სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტთა დახმარების მომსახურეგები ყოვლისსმომცველია და მოიცავს სტუდენტთა და აბიტურიენტთა კარიერული დასაქმების ოფისს (რომელიც ასევე თამაშობს მნიშვნელოვან როლს წარმატებულთა მეორადი განათლებიდან მოზიდვას თთუ-ში) და დასაქმების/კარიერულ ოფისს (სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის). სტუდენტთა დეკანი წარმოადგენს მთავარ საკონტაქტო პირს და მუდამ ხელმისაწვდომია და მზადაა დახმარებისათვის (ეს დადასტურდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუირებისას).

დასაქმების ოფისი მართავს თავისუფალი უნივერსიტეტის დამსაქმებელთა და ვაკანსიების ფართო ქსელს და ეხმარება სტუდენტებს დასაქმების ეფექტიან ძიებაში. ტარდება ყოველწლიური დასაქმების ფორუმები, რომლებიც აძლევენ სტუდენტებს პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრის შესაძლებლობას. სტუდენტები კარგად იხსენიებენ კარიერული მხარდაჭერის ცენტრს, რომელიც ასევე ემსახურება კურსდამთავრებულთა ქსელს, რომლებიც ინარჩუნებენ საკუთარ თავისუფალი უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართს სწავლის დასრულების შემდეგაც. ინტერვიუებმა მოიტანა მტკიცებულება, რომ კურსდამთავრებულები სარგებლობენ კარიერული მომსახურებებით და მათი მიღწევები კარიერაში შესაძლოა მოხდეს უნივერსიტეტის ან კურსდამთავრებულთა ქსელის მეშვეობით.

სტუდენტებთან ურთიერთობის ოფისი ჩართულია კურიკულუმის ცვლილება/განვითარებაში, საგანმანათლებლო პროცესის კორექტირებაში და აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესებაში. იგი ატარებს გასაცნობ შეხვედრებს, რომელთა განმავლობაში სტუდენტთა ახალი ტალღა იღებს მთელ შესაბამის ინფორმაციას პროგრამების და სწავლის გზების, კანონმდებლობის და რეგულაციების, მათი უფლებებისა და ვალდებულებების (მათ შორის ეთიკური საკითხების), ბიბლიოთეკისა და IT მომსახურებების თაობაზე; ყველა ახალმოსულს აქვს თავისუფალი ხელმისაწვდომობა პერსონალურ ელ-ფოსტაზე და EMIS-ის პორტალზე

(https://emis.freeuni.edu.ge) ინფორმაციის მიმოცვლისათვის სტუდენტებს შორის და უნივერსიტეტის ყველა მომსახურებასა და პერსონალს შორის. სტუდენტები ინტერვიუების პროცესში ადასტურებენ, რომ EMIS არის მეტად გამოსადეგი, თანამედროვე და სანდო სისტემა, მათ შორის გამოცდებისა და შეფასებების კუთხითაც.

სტუდენტებთან ურთიერთობის ოფისი, ასევე, პასუხისმგებელია სტუდენტთა დახმარებაში გაცვლითი პროგრამების კუთხით. ეს გულისხმობს მათ კონსულტირებას, საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარებას, შიდა და გარე სტიპენდიების მოძიებაში და მთელი გაცვლითი სემესტრის დაგეგმვაში. ცოდნის ფონდი წარმოადგენს ძირითად დამფინანსებელს სტუდენტთა მობილობაში, თუმცა სტუდენტური ოფისი ასევე უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას სხვა გრანტებისა და რესურსებისადმი.

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები წახალისებულნი არიან სხვადასხვა ექსტრაკურუკულარულ აქტივობებში, კლუბებში, სპორტულ თუ კულტურულ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად, რომელთაც მართავს უნივერსიტეტი ან თავად სტუდენტები. სტუდენტები ორგანიზებას უკეთებენ ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და აქტივობებს, რომლებზეც წარმოაჩენენ საკუთარ შესაძლებლობებს ინიციატივის აღების, შემოქმედებითი კუთხით, მართავენ ბიუჯეტს და მოიძიებენ სპონსორებს. თავისუფალ უნივერსიტეტს აქვს სპეციალური საბიუჯეტო ხარჯი, რომლის მიზანია იმ აქტივობების დახმარება, რომლებსაც წვლილი შეაქვთ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიზნებში. სტუდენტთა დახმარების მომსახურებების ხარისხი და მასშტაბი შთამბეჭდავია და სტუდენტები აქედან იღებენ რეალურ სარგებელს. სტუდენტთა დახმარების მომსახურებები თამაშობენ დიდ როლს თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტზე ორიენტირებულ ინსტიტუციად ჩამოყალიბებაში.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ბევრი განსხვავებული ტიპის ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვებს განსხვავებულ წრეებში და შედეგებს ავრცელებს შესაბამის პირებსა და სამსახურებში. სტუდენტთათვის გამოკითხვაზე პასუხი არაა სავალდებულო, მაგრამ 30% სტუდენტებისა იღებს მათში მონაწილეობას, იმ შემთხვევებშიც კი თუ არა აქვთ შენიშვნები. აკადემიურმა და მომსახურე პერსონალმა დაადასტურა შეკრებილი ინფორმაციის გამოსადეგობა და განაცხადა რომ გამოიყენებს მას საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები შეხვედრები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, IT დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; სტუდენტთა დეკანთან/სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერთან, სკოლის კოორდინატორებთან და კანცლერთან. კამპუსის ვიზიტი: საგამოცდო ცენტრი, ბიბლიოთეკა, სტარტ-აპ სივრცე. http://freeuni.edu.ge/ge/documents and https://emis.freeuni.edu.ge (შეფასებულია თითუ სტუდენტის დახმარებით

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
თავისუფალ უნივერსიტეტს შეუძლია თავი მოიწონოს სტუდენტური სერვისების ფართო დიაპაზონითა და მაღალი ხარისხით, ასევე სტუდენტთა დეკანისა და სტუდენტებთან ურთიერთობის ოფისის მთელი პერსონალის ეფექტიანობით.

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, მისი ტიპისა და კონკრეტული სეფერო(ებ)ის გათვალისწინებით, მუშაობს კვლევითი ფუნქციების გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს სათანადო პირობებს კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად და აუმჯობესებს კვლევითი საქმიანობის ხარისხს.

6.1 კვლევითი საქმიანობა
o უსდ, საკუთარი ტიპისა და სფეროების სპეციფიკის გათვალისწინებით, ახორციელებს კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას. o უზრუნველყოფს სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელობის ეფექტიანობას o უსდ-ს გააჩნია საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები დისერტაციების შეფასებისა და დაცვისთვის, რომლებიც შეესაბამება სფეროს სპეციფიკას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი კვლევითი/შემოქმედებითი აქტივობები დაგეგმილია რათა ემსახუროს თავისუფალი უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ განვითარებას . ეს აქტივობები ხორციელდება უნივერსიტეტის 8 სკოლისა და 6 კვლევითი ინსტიტუტისა და ცენტრის ინდივიდუალური პროფესორების/მკვლევარების მიერ. თავისუფალ უნივერსიტეტს თავის მისიაში განცხადებული აქვს, რომ იგი მიზნად ისახავს ახალგაზრდების სწავლისათვის, სწავლებისათვის და კვლევისათვის საუკეთესო გარემოს შექმნას საქართველოში. თავისუფალი უნივერსიტეტის სტრუქტურა და აქტივობები ორგანიზებულია იმგვარად, რომ მოიზიდოს საუკეთესო (გამორჩეული) სტუდენტები და მისცეს მათ შესაძლო საუკეთესო განათლება ქვეყანაში. ამ მაღალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად თავისუფალმა უნივერსიტეტმა უნდა ჩართოს გამორჩეული აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და მასწავლებლები. უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს ინტერდისციპლინურ კვლევას თეორიული და გამოყენებითი ცოდნის ფორმით. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები (სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში) და კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების პროექტები შემუშავებულია შესატყვისად. კვლევითი აქტივობები მჭიდროდაა დაკავშირებული უნივერსიტეტის სკოლების საგანმანათლებლო პროგრამებთან. ამჟამად, მაგისტრთა და დოქტორანტთა რაოდენობა თავისუფალ უნივერსიტეტში შეადგენს ბაკალავრიატის სტუდენტთა რაოდენობის 15%. ეს, მეორე და მესამე ციკლის სტუდენტთა შედარებით დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს მათ ეფექტურ ზედამხედველობას კვლევით პროექტებში. თავისუფალ უნივერსიტეტს აქვს სადოქტორო პროგრამებისადმი მიძღვნილი სადოქტორო სკოლა და საქართველოსათვის არც თუ ტიპიური სტუდენტები. სკოლის მიზანია უნივერსიტეტის მისიის განხორციელება კვლევებში და ჰყავს 12 დოქტორანტი 2 პროგრამაზე, ერთი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და მეორე საბუნებისმეტყველო

მეცნიერებებში (აგრარულ უნივერსიტეტთან ერთობლივი პროგრამა).

დოქტორის აკადემიურ ხარისხს იძლევა სადისერტაციო საბჭო. ამ საბჭოს შემადგენლობა და აქტივობები, ისევე როგორც სადოქტორო სკოლისა, რეგულირდება სპეციალური დოკუმენტით (სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება). ეს დოკუმენტი მოიცავს სადოქტორო დისერტაციის საჯაროდ, გამჭვირვალედ და სამართლიანად შეფასების პროცედურებს. ამჟამად, ერთი სადოქტორო დისერტაციაა დაცული უნივერსიტეტში, ამიტომ ამ რეგულირებების თაობაზე დასკვნის გამოტანა ნაადრევია.

ჯგუფი აღნიშნავს, რომ კარგი მეცნიერული რეპუტაციის მისაღწევად ინსტიტუციას ესაჭიროება მაღალი ხარისხის კვლევების მრავალწლიანი გამოცდილება. თავისუფალი უნივერსიტეტის, ახალგაზრდა უნივერსიტეტის, მეცნიერული რეპუტაცია (დაარსდა 2007 წელს) ემყარება მისი აკადემიური პერსონალის გამორჩეულ კვლევით დოსიეს. რიგი მათგანი განეკუთვნება ცნობილ ქართული მეცნიერების სკოლებს, როგორებიცაა აღმოსავლეთმცოდნეობა ან თეორიული ფიზიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
თვით შეფასების ანგარიში, დოკუმენტი "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისია", დოკუმენტი "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი: კვლევითი აქტივობები", სხვა წარმოდგენილი დოკუმენტები, ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები: თავისუფალმა უნივერსიტეტმა, ბოლო წლებში წარმართული პროცესების პარალელურად უნდა გააგრძელოს ინვესტირება მისი რიგი შემოქმედებითი, კვლევითი და გამომცემლობითი საქმიანობების განსავითარებლად, როგორც ეს აღნიშნულია მის განვითარების გეგმაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
ინივაციური სადოქტორო სკოლა (განვითარების საწყის ეტაპზე)
გამორჩეული ბაკალავრები ფიზიკის სკოლიდან ჩართულნი არიან კვლევებში და არიან თანაავტორები სამეცნიერო პუბლიკაციებში მათ პროფესორებთან ერთად.

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- o უსდ-ში მოქმედებს კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტიანი სისტემა
- o ახალი თანამშრომლების მოზიდვა და მათი ჩართვა კვლევით ან შემოქმედებით საქმიანობაში.
- o დაწესებულება მუშაობს კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
კვლევითი/შემოქმედებითი აქტივობები მხარდაჭერილია სხვადასხვა გზით. მთავარი დახმარება აკადემიური პერსონალისადმი მდგომარეობს იმაში, რომ მათი ხელფასი მნიშვნელოვნად მაღალია ვიდრე საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში. პროფესორებისათვის,

რომელთაც არა აქვთ იმავდროულად შეთავსებული ადმინისტრაციული პოზიციები, კვლევითი კომპონენტი ანგარიშდება ნახევარი ხელფასით. აკადემიური პერსონალმა და მკვლევარებმა შესაძლოა მოიპოვონ დამატებითი დაფინანსება მათი პროექტებისათვის ცოდნის ფონდიდან ან გარე რესურსებიდან. უნივერსიტეტის მკვლევარებმა მიიღეს მნიშვნელოვანი დაფინანსება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან, ღია საზოგადოების ფონდიდან, USAID და სხვა ფინანსირების სააგენტოებიდან. ახალი "შემოქმედებითი ერთეულები", გარკვეული კვლევითი ერთეულები და სადოქტორო სკოლა შეიქმნა ახლახან და ყოველი მათგანი ფოკუსირებულია ინტერდისციპლინურ და შიდასაუნივერსიტეტო აქტივობებზე. მათი მუშაობა მხარდაჭერილია უნივერსიტეტის სხვა ერთეულების მიერ, როგორებიცაა ბიბლიოთეკა, პუბლიკაციებისა და ივენთების მენეჯერის ოფისი. თავისუფალი უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია მხარდაჭერილია სამი მაღალი დონის კვლევითი ერთეულის მიერ: კონფუცის ინსტიტუტი, არაბული ქვეყნებისა და ისლამური მსოფლიოს შემსწავლელი ცენტრი და აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. თუმცა ანალოგიური ცენტრი დასავლეთის მსოფლიოსთან დაკავშირებით არ არსებობს. თავისუფალი უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციაზე ყურადღების მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია 8 განსხვავებული ენების სწავლება და ყურადღების გამახვილება ინგლისურზე მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. ინტერნაციონალიზაცია, ასევე, მხარდაჭერილია თავისუფალი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ: მათ 20% აქვს საზღვარგარეთ ცხოვრების/მუშაობის გამოცდილება და ახალ კვლევით პერსონალს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე. გარდა ამისა, არის მოწვეული პერსონალი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ამის მიუხედავად, თავისუფალ უნივერსიტეტს არ ჰყავს საერთაშორისო სტუდენტები - მახასიათებელი რომელიც შესაბამისობაშია სტრატეგიულ არჩევანთან, მაგრამ ზღუდავს თავისუფალი უნივერსიტეტის კამპუსის უცხოელი სტუდენტებით შევსებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვით შეფასების ანგარიში, დოკუმენტი "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისია", დოკუმენტი "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი: კვლევითი აქტივობები", ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები.
რეკომენდაციები: თავისუფალმა უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს ინვესტირება მისი კვლევითი შესაძლებლობებისა და აქტივობების ექსპანსიაში, მათ შორის მუდმივი და მოწვეული კვლევითი პერსონალის განვითარებით, მისი სიმძლავრეებისა და კვლევაზე დაფუძნებული პროგრამებით, მათ შორის სადოქტორო სკოლით. ამას შეუძლია შექმნას კარგი წრე, რომელიც სარგებელს მოუტანს მთელ ინსტიტუციას.
რჩევები: თავისუფალი უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია შესაძლოა გაუმჯობესდეს, მაგალითად, რამდენიმე სადოქტორო პროგრამით, რაც საშუალებას მისცემს მის კამპუსს უმასპინძლოს უცხოელ სტუდენტებს. ეს არ შეუქმნის საფრთხეს მას, როგორც ქართულენოვან უნივერსიტეტის. პირიქით თავისუფალმა უნივერსიტეტმა შესაძლოა მოახდინოს ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია საერთაშორისო დონეზე. თავისუფალ უნივერსიტეტს შეუძლია მოიწვიოს მეტი უცხოელი პედაგოგი და მკვლევარი (მათ შორის არსებული პროგრამების მეშვეობით, მაგალითად, ერაზმუს+).
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს აქვს კვლევითი / შემოქმედებითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პროდუქტიულობის და აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის ხარისხის შეფასების და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი

ინდივიდუალური მკვლევარების კვლევითი აქტივობები, ისევე როგორც კვლევითი ინსტიტუტები/ცენტრები არის კომპლექსური ამოცანა, რომელიც საერთოდ დაფუძნებულია წარმოების ინდიკატორებზე, რომლების აფასებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა პუბლიკაციები, დაფინანსება, კონფერენციებზე და სემინარებზე გამოსვლები, მაგისტრებისა და დოქტორანტების ზედამხედველობა და ა.შ. თითოეული უსდ-ს წესდებაზე დამოკიდებულებით, თითოეული ამ აქტივობებიდან ფასდება განსხვავებულად საერთო შეფასებაში. თავისუფალმა უნივერსიტეტმა შეიმუშავა საკუთარი შეფასების სისტემა დამყარებული 11 კრიტერიუმზე, რომლებიც შესაძლებელია 4 კატეგორიად დაიყოს: მიღებული გრანტები/ფინანსირება, პუბლიკაციები, აკადემიურ პროცესებში ჩართულობა და უნივერსიტეტის კვლევითი რესურსებით სარგებლობა. მიღებული გრანტების/ფინანსირების კატეგორია დიფერენცირდება ფინანსირებად გარე წყაროებიდან და ცოდნის ფონდიდან (რომელიც შიდა წყაროებთან ახლოსაა), მაგრამ ეძლევა იგივე წონადობა თითოეულ მათგანს, თუმცა კი კონკურენციის ფაქტორი და პროექტის შეფასების ფაქტორები განსხვავებულია. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი შედარება კვლევებს შორის, რაც ემყარება "შიდას" და "გარეს" მეტად მოსაფრთხილებელია. თავისუფალი უნივერსიტეტის კვლევის/კვლევების შეფასების სისტემა ახალია, მაგრამ ფუნდამენტურად დასაბუთებულია და შსაძლოა მისი შემდგომი სრულყოფა, როგორც კვლევისა და მკვლევარების სტიმულირების ინსტრუმენტისა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, დოკუმენტი "პერსონალის მეცნიერული პროდუქტიულობის შეფასების მეთოდოლოგია", ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუნივერსიტეტო კვლევა დაფუძნებულია სხვადასხვა სკოლისა და უნივერსიტეტის კვლევით ერთეულების (4 ინსტიტუტი და 2 ცენტრი) აკადემიური/კვლევითი პერსონალის ინდივიდუალურ პროექტებზე. სამომავლოდ, ამ 2 კატეგორიის შეფასება უფრო ადვილი შესამუშავებელი თუ ეს გაკეთდება ცალ-ცალკე, არსებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, გარკვეული კორექტირებით თითოეული კატეგორიისათვის. ცოდნის ფონდმა შესაძლოა გამოსადეგად ჩათვალოს კვლევის დასაფინანსებელი კრიტერიუმების შემდგომი განსაზღვრა და გასაჯაროვება, მაგალითად უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები
o დაწესებულებას გააჩნია ან მის მფლობელობაშია მატერიალური რესურსები (ფიქსირებული და მიმდინარე აქტივები), რომლებიც გამოიყენება დაწესებულების მისიისა და მიზნების მიღწევისთვის, ადეკვატურად პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება მოქმედი სტუდენტებისა და დაგეგმილი ჩარიცხვების არსებულ რაოდენობას. o უსდ-ში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის შესაფერისი გარემო: სანიტარული ობიექტები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობები და ცენტრალური გათბობის სისტემა. o დაწესებულებაში დაცულია სტუდენტებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. o უსდ-ს გარემო ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი თავისუფალ უნივერსიტეტს გააჩნია სავსებით ადექვატური მატერიალური რესურსები არენდირებულ კამპუსზე, რომელსაც იზიარებს დობილ უნივერსიტეტთან (აგრარულ უნივერსიტეტთან) თბილისი გარეუბანში. ფართი მნიშვნელოვანია ამჟამინდელი და სამომავლო სარგებლობისათვის, აღჭურვილობა კარგი ხარისხისაა და სტუდენტთა ახალი მოთხოვნების საპასუხოდ უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს ინვესტირებას მის განახლებასა და სრულყოფაში (მაგალითად, პარკინგისათვის ან სტარტ-აპ კომპანიების განსათავსებლად), ან განათლებისა და კვლევების ახალი საჭიროებისათვის (მაგალითად, ვიზუალურ ხელოვნებაში და დიზაინისა და არქიტექტურაში ახალი აქტივობების განსათავსებლად (მათ შორის მძლავრი 3D პრინტერი). მოსარგებლეთა ჯანმრთელობა, დაცულობა და უსაფრთხოება სერიოზულადაა შეფასებული და ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ხალხზე. მატერიალური რესურსების მენეჯმენტის გუნდი ყურადღებას აქცევს როგორც საჭიროებებს, ასევე ავლენს ფრთხილე/ეფექტიან მიდგომას მომარაგების პროცედურებისადმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები კამპუსის ვიზიტი მოიცავდა ლაბორატორიებს, კვლევით ინსტიტუტებს, ღია-დაშვების სიმძლავრეებს, უსაფრთხოების ზომებს და სხვ. თვითშრფასების ანგარიში, ინტერვიუები მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიებთან და კანცლერთან.
რეკომენდაციები:
რჩევები:

ჯგუფი სთავაზობს, რომ თავისუფალმა უნივერსიტეტმა სასურველია განჭვრიტოს სამომავლო გარემო ნორმები და მიუძღვნას თავი კამპუსისა და სიმძლავრეების სრულყოფას, რათა აქციოს ისინი სრულიად "მწვანედ" (ანუ ეკოლოგიურად).

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სტუდენტთა კორპუსის ოდენობის ფრთხილი დაგეგმვა. სტუდენტთა ახალ საჭიროებებზე და საგანმანათლებლო/ კვლევითი აქტივობებზე რეაგირება. თავისუფალი უნივერსიტეტის პროფილთან, როგორც სტუდენტზე ორიენტირებულ ინსტიტუციასთან შესაბამისი ეფექტიანი მენეჯმენტი.

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მხარდაჭერის სერვისები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას და უსდ მუდმივად უნდა ზრუნავდეს მის გაუმჯობესებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი

ბიბლიოთეკა კარგად არის წარმოდგენილი და ხშირად გამოიყენება, მას შესწევს ძალა (პერსონალი. ტრენინგი და ფინანსირება), თავი გაართვას ახალ/ცვალებად საჭიროებებს. იგი კარგადაა ინტეგრირებული ადგილობრივ გარემოში (ზიარი კამპუსი აგრარულ უნივერსიტეტთან) და თანამშრომლობს სხვა ქართული უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებთან, დოკუმენტაციის სხვა ეროვნულ წყაროებთან და შეხებაშია ევროპულ/საერთაშორისო კოლეგებთან, მაგალითად, საერთაშორისო ცენტრებისა და ინსტიტუტების პარტნიორობის ჩარჩოებში. საბიბლიოთეკო რესურსები მუდმივად ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, ინტერვიუები ბიბლიოთეკის პერსონალთან და მომხმარებლებთან (პედაგოგები, მკვლევარები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები), კამპუსის ვიზიტმა აჩვენა, რომ ბიბლიოთეკა იყო მეტად გამოყენებული,

რეკომენდაციები:

რჩევები:

თავისუფალ უნივერსიტეტს შესაძლოა მოესურვოს ურთიერთობის დამყარება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების ევროპულ/საერთაშორისო ქსელებთან, მაგალითად უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების ევროპულ ასოციაციასთან (IATUL), კვლევითი ბიბლიოთეკების ევროპულ ასოციაციასთან (LIBER) ან უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების დირექტორთა ასოციაციასთან (ADBU).

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შენობასა და ბიბლიოთეკაში 24 საათიანი დაშვება

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- უსდ-მ შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრირება და მასზე ხელმისაწვდომობა არის უზრუნველყოფილი
- განხორციელებულია ელექტრონული სერვისები და ელექტრონული მართვის სისტემები და არსებობს მათი მუდმივი გაუმჯობესების მექანიზმები
- უსდ უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი

უნივერსიტეტი ფლობს სრულ, უახლეს საინფორმაციო ტექნოლოგიებს მისი შიდა მენეჯმენტისათვის და სწავლება/სწავლის და კვლევითი აქტივობებისათვის. თავისუფლად ხელმისაწვდომი კომპიუტერები სტუდენტებისათვის განთავსებულია მთელს კამპუსში. თთუ ბრწყინვალედ იყენებს მის განათლების მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას, რომელიც გამოიყენება ყველა აქტივობისათვის, დაწყებული წიგნის დაჯავშნიდან გამოცდებამდე, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ურთიერთობისათვის, საინვესტიციო საჭიროებებისა თუ საჩივრების მენეჯმენტისათვის. მთელი IT სტრუქტურა სრულად დუბლირებულია სისტემის განუწყვეტელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, თუ მისი რაიმე ნაწილი გამოვიდა მწყობრიდან. თთუ=ს ვებ-გვერდი კარგი ხარისხისაა როგორ ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. თავისუფალ უნივერსიტეტს ასევე აქვს ოთახები დისტანციური სწავლისა თუ კონფერენციებისათვის და უაღრესად დაცული საგამოცდო ცენტრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, კამპუსის ვიზიტი, ინტერვიუები ICT მენეჯმენტთან და მომხმარებლებთან. ვებ-გვერდი ქართულად და ინგლისურად

რეკომენდაციები:

რჩევები:

ვებ-გვერდი შესაძლოა საჭიროებდეს უცხოელებისათვის გახდეს უფრო მიმზიდველი, როგორც ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ნაწილი

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სტუდენტთა და პერსონალის ციფრული კომპეტენციების განვითარება.

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსები

- უსდ-ს ბიუჯეტში წარმოდგენილი ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიურად მიღწევადია.
- უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.

- უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ შესრულებაზე.
- უსდ-ს ბიუჯეტი უზრუნველყოფს კონკრეტული კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას.
- უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი

თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსური სიტუაცია უაღრესად ჯანსაღია. მას ეხმარება ცოდნის ფონდი, ასევე, ფინანსური მენეჯერის ინფორმაციის შესაბამისად იგი ფარავს მთელ მის პერიოდულ ხარჯებს საკუთარი არსებული რესურსებიდან. ნამატი რეინვესტირდება თავისუფალი უნივერსიტეტის აქტივობებში. ჯგუფს არა აქვს ამის ფორმალური მტკიცებულება, თუმცა არ არსებობს რაიმე ეჭვი თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსური შესაძლებლობების მიმართ არც ამჟამად და არც პროგნოზირებად მომავალში.

თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსური მენეჯმენტი მტკიცედაა დაკავშირებული ბიუჯეტთან და სტრატეგიულ და განხორციელების გეგმებთან. ფინანსური პროცედურები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და კონტროლირებული, რაც იძლევა ფინანსური სახსრების ეფექტიანად ხარჯვის შესაძლებლობას. კანცლერი და მისი გუნდი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აქტივობების ხარისხს და ეს ასევე მტკიცდება რესურსებით მომხმარებლების მიერ, ძირითადად სასწავლო, კვლევითი და მომსახურე ერთეულების პერსონალის მიერ, ასევე სტუდენტების მიერ. უნივერსიტეტი ეხმარება სტუდენტურ სერვისებს და ექსტრა-კურიკულარულ სწავლას, ისევე როგორც კამპუსში კულტურულ და სპორტულ აქტივობებს. ფინანსური რესურსების განთავსება აქტივობების სხვადასხვა სახეებზე ადექვატურია მათი ამჟამინდელი განვითარების დონისა, მაგრამ სავარაუდოდ საჭირო იქნება მათი კორექტირება დაგეგმილი ექსპანსიის (მაგალითად, კვლევების, დოქტორანტურის, ინტერნაციონალიზაციის) გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული და განხორციელების გეგმები, ინტერვიუები კანცლერთან და ფინანსურ მენეჯერებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

თავისუფალი უნივერსიტეტი მტკიცედ უნდა მიჰყვეს თავის განზრახვას შემდგომი ინვესტირების თაობაზე კვლევებში, დოქტორანტურაში და საერთაშორისო აქტივობებში. ჯგუფი სთავაზობს რომ თავისუფალმა უნივერსიტეტმა გააგრძელოს ინვესტირება სტარტ-აპ კომპანიებში და შესაძლოა ბიზნეს პარკში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

გამორჩეული ფორმულა - ისწავლე დღეს და გადაიხადე მოგვიანებით (სწავლის საფასურის გადავადება პროფესიულ ცხოვრებაში გადასვლის შემდეგ)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან